ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №595305

ნომერი: AR1115839

თარიღი : 13.03.2013

გაცემის თარიღი : 18.03.2013

გაცნობის თარიღი : 20.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი. ლუბლიანას ქ. მიმდ. / ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ , (ნაკვეთი N18/256) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარი ჩანტლაძე პ/ნ 01025019494
- დ/დ გიორგი ბრწყინვალის #9,ბ. #56

ორგანიზაცია:
- შპს კაი ყმა კოდი: 202061295

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

<u>ტერიტორიაზე პირველი კლასის ღობისა და ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.</u>

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ/დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №18/25630) შპს "კაი ყმა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღობისა და ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს "კაი ყმა"-ს საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882013004459 30.01.2013წ. საკადასტრო კოდი №01.13.01.018.298, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ/დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №18/25630) შპს "კაი ყმა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღობისა და ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო სამუსაოები განხორციელდეს შპს "კაი ყმა"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge